ერასმუს+ პროგრამა იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა და ასევე გამოცდილება, რამეთუ მივიღე განათლება სხვადასხვა სფეროში. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში ვსწავლობ სისხლის სამართლის სპეციალობით, პოლონეთში კი ვსწავლობდი როგორც გაცვლითი სტუდენტი ლაზარსკის უნივერსიტეტში, რომელიც  აღიარებულია  როგორც ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტი პოლონეთში. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტისთვის ძალიან დიდი უპირატესობაა, რომ მას აქვს ხელშეკრულება გაფორმებული ევროპის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტთან. ერასმუს+  პროგრამამ მომცა საშუალება გამეფართოვებინა ცოდნის არეალი როგორც სამართლის, ასევე, საერთაშორისო პოლიტიკისა და საერთაშორისო ბიზნესის სფეროში.  ჩემი საგნები თემატურად ეხმიანებოდა ერასმუს+ პროგრამის მიზნებს. შევისწავლე უფრო გლობალური პრობლემები. უცხო ქვეყანა, განსხვავებული გარემო,  ახალი სამეგობრო წრე თავიდან სირთულეებთან იყო დაკავშირებული, კულტურულ შოკსაც შევეჯახე, თუმცა გადავლახე ეს ეტაპი და ყველაფერი წარმატებით დამთავრდა. მადლობას ვუხდი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს პროფესიული და კარიერული წინსვლის ხელშეწყობისთვის და ვურჩევ სტუდენტებს მიიღონ ეს გამოცდილება, რათა გაუადვილდეთ არა მარტო პროფესიული წინსვლა, არამედ ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვაც.  ერასმუს+ პროგრამა არის ჩემთვის მნიშვნელოვანი ეტაპი ჩემი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისთვის.

**თამთა ნარსია**

The Erasmus+ program was an important challenge and experience for me. I gained education in various fields. I am studying Criminal Law at Grigol Robakidze University. I was studying as an exchange student at Lazarski University which is ranked as one of the best Universities in Poland. Grigol Robakidze University has a very big advantage that it has signed a contract with one of the leading Universities in Europe. The Erasmus+ program has given me the possibility to expand the scope of knowledge in the field of as well as international political economy and international business. My subjects thematically reflected the goals of Erasmus+ program. I have learned more global problems; there were different kinds of problems related a foreign country, different environment, a circle of new friends. I also faced a cultural shock, but it was overcome by me and everything was fulfilled successfully. I would like to thank Grigol Robakidze University for contributing to my professional and career development and advise students to take this opportunity and gain great experience. Erasmus+ program is a crucial stage for me in the development of my outlook.

**Tamta Narsia**